ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2298776

ნომერი: AR1354475

თარიღი : 04.11.2015

გაცემის თარიღი : 18.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 4 ნოემბერს AR1354475 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 16.10.2015

წლის №2246227 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), მარაბდის ქ. #33–ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.14.11.063.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ბრძანებაში არასწორად იქნა დაფიქსირებული ავტოსადგომის ფართი და არ ემთხვევა გეგმებზე დატანილ ექსპლიკაციაში არსებულ ავტოსადგომების ფართების ჯამს.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ავტოსადგომის ფართის შესწორება იწვევს საერთო ფართის ცვლილებასაც და შეადგენს 7433.6 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს რევაზ ტყემალაძის 2015 წლის 4 ნოემბრის #AR1354475 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანებაში, კერძოდ, ავტოსადგომის ფართი დაფიქსირდეს 2228.4 კვ.მ. ხოლო საერთო ფართად 7433.6 კვ.მ.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.10.2015 წლის №2246227 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.